

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ISOLA-G

31 დეკემბერი 2022



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	11
2 შედგენის საფუძველი	12
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	12
2.2 მომზადების საფუძველი	12
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	12
2.4 ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება	12
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	12
3.1 ზოგადი პირობები	12
3.2 უცხოური ვალუტა	12
3.3 ძირითადი საშუალებები	13
3.4 არამატერიალური აქტივები	13
3.5 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	13
3.6 იჯარა	14
3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	15
3.8 ფინანსური ინსტრუმენტები	15
3.9 ფული და ფულის ექვივალენტები	16
3.10 კაპიტალი	16
3.11 ანარიცხები	17
3.12 მოგების გადასახადი	17
3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	17
3.14 შემოსავალი	18
4 გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი მიზეზები	18
5 შემოსავალი	19
6 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19
7 ადმინისტრაციული ხარჯები	19
8 მარკეტინგის ხარჯი	20
9 მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	20
10 ძირითადი საშუალებები	20
11 გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	21

12	გადახდილი ავანსები	21
13	სასაქონლო მატერიალური მარაგები	22
14	სესხები	22
15	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
16	გადასახდელი დივიდენდი	23
18	კაპიტალი	24
18.1	საწესდებო კაპიტალი	24
18.2	დივიდენდი	24
19	ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	24
20	გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები	24
20.1	ვალდებულებები	24
20.2	სამართალწარმოება	25
20.3	დაზღვევა	25
20.4	გადასახადები	25
20.5	გარემოს დაცვა	25
21	შემდგომი მოვლენები	25
22	დაკავშირებული მხარეები	25
22.1	საკონტროლო ურთიერთობები	25
22.2	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
22.3	ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან	26
23	შესადარისი ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება	26
24	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	27
	მმართველობის ანგარიშგება	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ISOLA-G-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ISOLA-G-ის („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძვლის“ აბზაცში განხილული საკითხებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მარაგების ინვენტარიზაცია

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის ივნისში, და, შესაბამისად, არ დავსწრებივართ კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერც სხვა ალტერნატიული საშუალებით მოვიპოვეთ რწმუნება მარაგებთან დაკავშირებით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 5,429,647 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ნაშთებთან, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ჩართულ იმ ელემენტებთან დაკავშირებით, რომლებზეც გავლენას მოახდენდა მარაგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

საქართველო, თბილისი-0144

ქეთევან წამებულის გამზირი, №

ტ: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

54, Ketevan Tsamebuli avenue,

Tbilisi-0144, Georgia

T: + 995 322 604 406

შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

სხვა საკითხი

კომპანიის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 30 სექტემბერს გამოთქვა პირობითი მოსაზრება.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და ოპერირებაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

შპს გრანტ თორნტონ-ის სახელით

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

20 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვასაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

შპს გრანტ თორნტონ-ის სახელით

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

20 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ქართული ლარი

	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	5	36,175,407	28,445,199
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(13,397,727)	(12,040,894)
მთლიანი მოგება		22,777,680	16,404,305
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(14,995,289)	(8,803,948)
მარკეტინგის ხარჯები	8	(905,844)	(908,655)
არადაბრუნებადი საგადასახადო აქტივების ჩამოწერა		(323,061)	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		6,553,486	6,691,702
ფინანსური შემოსავალი		222,711	307,031
ფინანსური ხარჯი		(28,851)	(138,053)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან	9	(1,270,893)	(782,817)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		414,835	17,032
წლის მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		5,891,288	6,094,895
მოგების გადასახადის ხარჯი		(25,807)	-
წლის მოგება/(ზარალი)		5,865,481	6,094,895
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)		5,865,481	6,094,895

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 20 დეკემბერს:

ნინო ხულეღიძე

დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11- 27 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ქართული ლარი

	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	5	36,175,407	28,445,199
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(13,397,727)	(12,040,894)
მთლიანი მოგება		22,777,680	16,404,305
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(14,995,289)	(8,803,948)
მარკეტინგის ხარჯები	8	(905,844)	(908,655)
არადაბრუნებადი საგადასახადო აქტივების ჩამოწერა		(323,061)	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		6,553,486	6,691,702
ფინანსური შემოსავალი		222,711	307,031
ფინანსური ხარჯი		(28,851)	(138,053)
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან	9	(1,270,893)	(782,817)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		414,835	17,032
წლის მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		5,891,288	6,094,895
მოგების გადასახადის ხარჯი		(25,807)	-
წლის მოგება/(ზარალი)		5,865,481	6,094,895
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)		5,865,481	6,094,895

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 20 დეკემბერს:

ნინო ხუთელიძე

დირექტორი

ნ. ხუთელიძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11- 27 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი

	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	2,112,402	3,052,755
არამატერიალური აქტივები		5,790	5,790
		2,118,192	3,058,545
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	5,429,647	4,303,235
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		107,407	157,772
გაცემული სესხები	11	2,839,309	3,366,722
მისაღები პროცენტები	11	658,241	731,184
გადახდილი ავანსები	12	458,475	646,935
საგადასახადო აქტივი		99,610	73,559
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	19	4,489,606	3,157,103
		14,082,295	12,436,510
სულ აქტივები		16,200,487	15,495,055
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
აკუმულირებული მოგება		13,116,373	13,350,892
		13,116,373	13,350,892
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	1,269,114	1,276,280
სესხები	14	-	867,883
გადასახდელი დივიდენდი	16	1,815,000	-
		3,084,114	2,144,163
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,200,487	15,495,055

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 20 დეკემბერს:

ნინო ხუღელიძე

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11- 27 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით
შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი

	მენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	2,112,402	3,052,755
არამატერიალური აქტივები		5,790	5,790
		2,118,192	3,058,545
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	5,429,647	4,303,235
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		107,407	157,772
გაცემული სესხები	11	2,839,309	3,366,722
მისაღები პროცენტები	11	658,241	731,184
გადახდილი ავანსები	12	458,475	646,935
საგადასახადო აქტივი		99,610	73,559
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	19	4,489,606	3,157,103
		14,082,295	12,436,510
სულ აქტივები		16,200,487	15,495,055
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
აკუმულირებული მოგება		13,116,373	13,350,892
		13,116,373	13,350,892
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	1,269,114	1,276,280
სესხები	14	-	867,883
გადასახდელი დივიდენდი	16	1,815,000	-
		3,084,114	2,144,163
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,200,487	15,495,055

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 20 დეკემბერს:

ნინო ხუთელიძე

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11- 27 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით
შენიშვნებთან ერთად.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

	აკუმულირებული მოგება	სულ
2021 წლის 1 იანვარი	7,255,997	7,255,997
წლის მოგება (გადაანგარიშებული)	6,094,895	6,094,895
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	6,094,895	6,094,895
2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	13,350,892	13,350,892
წლის მოგება	5,865,481	5,865,481
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	5,865,481	5,865,481
დივიდენდები	(6,100,000)	(6,100,000)
სულ ოპერაციები მფლობელებთან	(6,100,000)	(6,100,000)
2022 წლის 31 დეკემბერი	13,116,373	13,116,373

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11- 27 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით
შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი	მენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული საოპერაციო საქმიანობიდან			
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები		42,303,634	45,094,955
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(27,008,660)	(36,187,394)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(2,725,896)	(2,084,674)
სხვა შემოსვლები		169,436	-
სხვა გადახდები		(85,119)	-
გადახდილი პროცენტი	14	(28,851)	(138,053)
გადახდილი გადასახადები		(5,683,855)	(2,999,834)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		6,940,689	3,685,000
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების გადახდა	14	(831,482)	(1,189,417)
გადახდილი დივიდენდი	18.2	(4,285,000)	-
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(5,116,482)	(1,189,417)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		1,824,207	2,495,583
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	9	(491,704)	(178,623)
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	19	3,157,103	840,143
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	19	4,489,606	3,157,103

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11- 27 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით მენიშვნებთან ერთად.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ISOLA-G („კომპანია“) (საიდენტიფიკაციო კოდი: 404947439) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2012 წლის 5 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა „New Yorker“-ის ბრენდის ტანსაცმლის, ფეხსაცმელებისა და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია.

2022 წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა იყო 119 თანამშრომელი, ხოლო 2021 წლის განმავლობაში - 125 თანამშრომელი.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მშობელ კომპანიას წარმოადგენს შპს „პან ეუროპიან ფეშენ გრუფი“ აქციების 100%-იანი წილით. შპს „პან ეუროპიან ფეშენ გრუფი“-ს დამფუძნებლებს კი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ ჰაიკ ხაჩატრიანი (50%) და შპს „ზეტ ენდ ეი“ (50%).

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ღირებუთრი იყო ნინო ხუთელიძე.

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

ომი უკრაინაში

უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო კონფლიქტი, რომელიც სწრაფად განვითარდა და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთელ მსოფლიოზე. შეერთებულმა შტატებმა და ევროპის ქვეყნებმა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები დააწესეს. დასავლეთის ქვეყნები არსებული სანქციების გაფართოებას განიხილავენ. სანქციების გატარების მყისიერი გლობალური შედეგები იყო მაღალი ინფლაცია, დაბალი ზრდა და ფინანსური ბაზრების გარკვეული შეფერხება.

უკრაინის კონფლიქტმა გამოიწვია ათასობით რუსისა და უკრაინელის საქართველოში გადმოსახლება. ეს მოიცავდა არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს, არამედ ბიზნესებსაც, რომლებიც დაარსებული იყო და ფუნქციონირებდა ამ ქვეყნებში. აღნიშნულის შედეგად გაიზარდა უცხოური ვალუტის შემოდინება ქართულ ბაზარზე, რამაც გამოიწვია ქართული ლარის მნიშვნელოვანი გამყარება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

რუსეთის არასამართლიანმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ზოგადად რეგიონში ბიზნეს გარემოზე და ასევე კომპანიის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

კომპანიის ხელმძღვანელობა აღარ ელის ლარის შემდგომ გამყარებას აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით. თუმცა, უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტმა შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო მეტი უცხოური ვალუტის შემოდინება ქვეყანაში, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ეს ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს ზემოაღნიშნულის პოტენციურ მომავალ გავლენას კომპანიის ოპერაციებზე.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთეულ ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.4 ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

კომპანია სააღრიცხვო პოლიტიკაში არსებულ ცვლილებებსა და წინა პერიოდის შეცდომებს ასწორებს რეტროსპექტიულად, გამოსაცემად დამტკიცებულ ფინანსური ანგარიშგებების პირველ ნაწილში მათი აღმოჩენის შემდგომ: წინა პერიოდებში წარმოდგენილი შესადარის ინფორმაციის გადაანგარიშებით, სადაც შეცდომა იყო დაშვებული; ან თუ შეცდომა იყო დაშვებული უახლოეს წარმოდგენილ პერიოდამდე, აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის საწყისი ბალანსების გადაანგარიშებით უახლოესი წინა წარდგენილი პერიოდისთვის. ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც მოიცავს შესადარის ინფორმაციას წინა პერიოდისათვის წარდგენილია, როგორც გასწორებული იმ პერიოდში, სადაც ამგვარი საჭიროება გაჩნდა. ამგვარად, თითოეულ წარდგენილ პერიოდთან დაკავშირებული შესწორებული რაოდენობა შედის იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.8840 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი და ერთი ევრო 3.5040 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი

მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

ავეჯი და ინვენტარი	- 3- 20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	- 3-5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 5-15 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო ვადები და ამორტიზაციის მეთოდები გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, თუკი არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკატორი, კორექტირდება პერსპექტიულად.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია ირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. პროგრამულ უზრუნველყოფაზე და სხვა არამატერიალურ აქტივებზე სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

3.5 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ.

როცა გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.6 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იმის დადგენა, იჯარა ფინანსურია თუ ჩვეულებრივი, დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე. ქვემოთ ჩამოთვლილია ისეთი სიტუაციის მაგალითები, რომლებიც, როგორც წესი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად განაპირობებს იჯარის კლასიფიცირებას ფინანსურ იჯარად:

- (ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;
- (ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;
- (გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;
- (დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება შეადგენს სულ მცირე საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და
- (ე) იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

აღრიცხვა და აღიარება

ფინანსური იჯარა

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის დროს მოიჯარემ საიჯარო გადასახდელები ხარჯად უნდა აღიაროს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება) წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სხვა სისტემატური მეთოდი უფრო ადეკვატურად ასახავს მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღების პერიოდულობას.

კომპანიას იჯარით აქვს აღებული კომერციული ფართები საოპერაციო საქმიანობის მიზნებისთვის და საიჯარო გადასახდელებს აღიარებს როგორც ხარჯს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს მარაგების შესყიდვის, კონვერსიის და სხვა დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ ადგილზე მიტანასთან და არსებულ მდგომარეობაში მოსაყვანად. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, ხომ არ გაუფასურდა მარაგი. თუ მარაგი გაუფასურებულია, კომპანია მარაგის საბალანსო ღირებულებას ამცირებს მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელმწიფო პირობების მონაწილე.

იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით, რომლებიც თავდაპირველად რეალური ღირებულებით ფასდება, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია) დაკორექტირებული რეალური ღირებულებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელმწიფო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები
- რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები, რეალური ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივების მიკუთვნება სხვადასხვა კატეგორიაზე ხდება მათი თავდაპირველი აღიარებისას, რაც დამოკიდებულია ინსტრუმენტის მახასიათებლებზე და მის დანიშნულებაზე. ფინანსური ინსტრუმენტის კატეგორია რელევანტურია მისი შეფასების მეთოდის და მიღებული შემოსავალის და ხარჯების აღიარების, რომელიც ხდება მოგებაში ან ზარალში ან სხვა მთლიან შემოსავალში.

ზოგადად, კომპანია აღიარებს ყველა ფინანსურ აქტივს ანგარიშსწორების თარიღის აღრიცხვის გამოყენებით. შეფასება იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, კეთდება ყოველ საანგარიშგებო თარიღში. ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და დებიტორული დავალიანება არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კვოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ასევე ფულად და საბანკო ნაშთებს.

I. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების მიხედვით ყველა კუთვნილი თანხის მიღებას. მოვალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიდნელები და გადაუხდელობა და ვადაგადაცილება ითვლება სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების ინდიკატორად. რეზერვის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

რეზერვის ნაშთი კორექტირდება საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალში ხარჯის ან შემოსავლის აღრიცხვით. ნებისმიერი ჩამოწერილი თანხა მომხმარებელთა ანგარიშის ნაშთებთან მიმართებაში ირიცხება საექსპო ანგარიშების არსებული რეზერვებიდან. ჩამოიწერება ყველა დებიტორული დავალიანება, რომლის ამოღება შეუძლებელადაა მიჩნეული.

II. ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები

კომპანიის ფული და საბანკო ანგარიშები მოიცავს ნაღდ ფულს და ნაშთებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება-ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.9 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.10 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მფლობელების მიერ განხორციელებულ შენატანებს კომპანიის კაპიტალში. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების მიერ. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში ხორციელდება კომპანიის მფლობელების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან ზარალებს.

დამფუძნებლებთან დაკავშირებული ტრანზაქციების აღრიცხვა კაპიტალში ხდება განცალკევებულად.

ლივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.11 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას და სადაც შესაფერისია, ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციალურ რისკებს.

3.12 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებითი.

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორაციულ სამემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

საქართველოში მოქმედი მოგების გადასახადის დარიცხვის პრინციპიდან გამომდინარე, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საწარმოს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილებისას, უფლება აქვს ჩაითვალოს შესაბამისი წლის მოგების გადასახადი, რაც გადახდილი აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული მოგებიდან. ასეთ შემთხვევაში, ჩასათვლელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის იმ თანხას, რასაც კომპანია გადაიხდიდა საქართველოში.

3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (გ) სოციალური შენატანები და სხვა სოციალური გადასახადები;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

(ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

ბონუსები

გადასახდელი ბონუსების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.14 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას საქონლის/მომსახურების გაყიდვისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. შემოსავალი ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნებების და გაცემული ფასდაკლებების გამოკლებით. თუ კომპანია მყიდველს უპროცენტო კრედიტს აძლევს, შემოსავალი აღიარებულია მომავალი გადახდების ამჟამინდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

კომპანიის შემოსავალი უმეტესად მოიცავს მაღაზიებში ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებულ ანაზღაურებებს. კომპანია აღიარებს შემოსავალს, გაყიდვის მომენტში, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაეცემა მომხმარებელს.

კომპანიის გაყიდვების პოლიტიკიდან გამომდინარე, მომხმარებლებს უფლება აქვთ უკან დააბრუნონ საქონელი 2 კვირის განმავლობაში ფულის უკან დაბრუნების ან სხვა საქონელში გადაცვლის მოთხოვნით. ფულის დაბრუნების შემთხვევაში კომპანიის მიერ ხდება უკვე აღიარებული შემოსავლის გაუქმება. საქონლის გაცვლის შემთხვევაში, ადგილი არ აქვს შემოსავლებთან დაკავშირებულ დამატებით აღრიცხვას, რადგან აღნიშნულ შემოსავლის თანხებზე გავლენა არ აქვს.

4 გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი მიზეზები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც მე-3 შენიშვნაშია აღწერილი, ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებისა და დაშვებების გამოყენება იმ ატქივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგავრი შეფასებებისგან.

5 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი წარმოადგენს „New Yorker“-ის ბრენდის საქონლის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავალი საქონლის ტიპების მიხედვით იხილეთ ქვემოთ:

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ტანსაცმელი	26,230,587	20,537,298
ფეხსაცმელი	6,795,483	5,524,992
აქსესუარები	3,149,337	2,382,909
	<u>36,175,407</u>	<u>28,445,199</u>

6 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება საქონლის ტიპების მიხედვით იხილეთ ქვემოთ:

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
ტანსაცმელი	8,945,809	8,693,468
ფეხსაცმელი	2,566,872	2,338,737
აქსესუარები	1,885,046	1,008,689
	<u>13,397,727</u>	<u>12,040,894</u>

7 ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
ფრანჩიზის ხარჯი	4,929,812	-
საიჯარო ხარჯი	4,593,896	4,255,934
ხელფასის ხარჯი	2,979,563	2,300,978
ცვეთა და ამორტიზაცია	941,753	1,026,190
ბანკის მომსახურების ხარჯი	378,753	313,145
კომუნალური ხარჯი	362,097	236,008
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	144,441	55,000
შეკეთების ხარჯები	94,934	20,168
მივლინების ხარჯები	51,980	9,364
საკონსულტაციო ხარჯები	47,252	125,052
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	37,119	35,983
საკანცელარიო ხარჯები	32,616	21,863
ტრანსპორტირების ხარჯები	19,108	34,659
დაზღვევის ხარჯი	9,372	21,127
სხვა ხარჯები	372,593	348,477
	<u>14,995,289</u>	<u>8,803,948</u>

ფრანჩიზის ხარჯი წარმოადგენს კომპანიის მიერ მომწოდებელზე გადახდილ სარეალიზაციო ფასის 50%-სა და იმპორტირებული მარაგების საინვოისო ღირებულებას შორის სხვაობას, რომელიც წარმოადგენს ვალდებულებას კომპანიის მთავარ მომწოდებელთან (ფრანჩიზორთან).

8 მარკეტინგის ხარჯი

კომპანიის მარკეტინგული ხარჯები ძირითად მოიცავს მარკეტინგულ მომსახურების საფასურს, რომელსაც კომპანია უხდის მეიჯარეს სავაჭრო ცენტრებში ბეჭდური ან ციფრული ფორმით სარეკლამო საშუალებების განთავსების სანაცვლოდ.

9 მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
წმინა მოგება/(ზარალი) გაცემულ სესხებზე	(823,067)	(431,169)
წმინა მოგება/(ზარალი) მიღებულ სესხებზე	36,401	70,219
წმინა მოგება/(ზარალი) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე	7,477	(243,291)
წმინა მოგება/(ზარალი) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	-	47
წმინა მოგება/(ზარალი) ნაღდ ფულსა და საბანკო ანგარიშებზე	(491,704)	(178,623)
	<u>(1,270,893)</u>	<u>(782,817)</u>

10 ძირითადი საშუალებები

ქართული ლარი	ავეჯი და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება				
1 იანვარი, 2021 წელი	2,601,743	52,068	4,878,120	7,531,931
შემოსვლა	3,669	10,545	17,152	31,366
31 დეკემბერი, 2021 წელი	2,605,412	62,613	4,895,272	7,563,297
შემოსვლა	-	-	1,400	1,400
31 დეკემბერი, 2022 წელი	2,605,412	62,613	4,896,672	7,564,697
აუთუღირებული ცვეთა				
1 იანვარი, 2021 წელი	1,435,296	28,006	2,021,322	3,484,624
წლის ცვეთა	391,942	10,892	623,084	1,025,918
31 დეკემბერი, 2021 წელი	1,827,238	38,898	2,644,406	4,510,542
წლის ცვეთა	318,245	9,555	613,953	941,753
31 დეკემბერი, 2022 წელი	2,145,483	48,453	3,258,359	5,452,295
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2021 წელი	778,174	23,715	2,250,866	3,052,755
31 დეკემბერი, 2022 წელი	459,929	14,160	1,638,313	2,112,402

2022 და 2021 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით, კომპანიას უზრუნველყოფაში ჩადებული ჰქონდა საკუთრებაში არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება (გარდა მარაგებისა).

ცვეთის ხარჯი ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანაგარიშებაში.

11 გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

ქართული ლარი

	ძირი თანხა	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები		
შპს ლიდერ სისტემ (საქართველო)	2,550,869	2,930,380
შპს NORK HUNGARY (უნგრეთი)	288,440	436,342
	<u>2,839,309</u>	<u>3,366,722</u>

ქართული ლარი

	პროცენტი	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
მისაღები პროცენტი დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებზე		
შპს ლიდერ სისტემ (საქართველო)	635,166	698,734
შპს NORK HUNGARY (უნგრეთი)	23,075	32,450
	<u>658,241</u>	<u>731,184</u>

2018 წლის 18 დეკემბერს კომპანიასა და შპს ლიდერ სისტემ-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება 2,000,000 ლარის ან მისი ექვივალენტი ევროსა და დოლარის გაცემის თაობაზე. სესხები გაიცა ტრანშებად, როგორც ლარში ისე ევროსა და დოლარში. კერძოდ, 570,00 ევრო გაიცა 2018 წელს, 847,561 ლარი და 50,000 დოლარი გაიცა 2019 წელს (რომლის ნაწილიც 211,000 ლარის ოდენობით დაიფარა 2019 წლის ბოლოს) და 50,000 დოლარი გაიცა 2021 წლის დეკემბერში. მოცემულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 8.3%-ით, ხოლო სრულად დაბრუნების ვადად განისაზღვრა მხარეთა შორის მოგვიანებით დამატებით შეთანხმებული განსაზღვრული ვადა. 2022 და 2021 წლების განმავლობაში კომპანიას არ მიუღია არც სესხის ძირის და არც პროცენტის შესაბამისი გადახდები. 2022 წელს გაცემულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 222,711 ლარი (2021 წელს 271,910 ლარი).

2019 წლის 4 ოქტომბერს კომპანიამ გასცა სესხი შპს NORK HUNGARY-ზე 40,000 ევროს ოდენობით და დამატებით 2019 წლის 12 დეკემბერს 100,000 ევროს ოდენობით. 40,000 ევროს დაფარვა მოხდა 2019 წლის ბოლოს. 2019 წლის შემდეგ არ მომხდარა სესხების დაბრუნება (არც ძირი არც პროცენტი), რადგან კომპანიის მიერ შპს NORK HUNGARY-ზე გაცემული და დაუფარავი სესხი 100,000 ევროს ოდენობით საქონლის სახით (იგულისხმება ტანსაცმელი) დაუბრუნდა შპს ლიდერ სისტემ-ს. 2022 წლის სექტემბერში გაფორმდა სამმხრივი ხელშეკრულება შპს ISOLA-G-ს, შპს ლიდერ სისტემ-სა და შპს NORK HUNGARY-ს შორის, დარჩენილი სესხის დასაფარად, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ჯერ კიდევ ხელმოუწერელია. 2022 წელს დაუფარავ სესხზე საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა არ მომხდარა (2021: 35,121 ლარი).

12 გადახდილი ავანსები

ქართული ლარი

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	363,359	363,359
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	95,116	283,576
	<u>458,475</u>	<u>646,935</u>

13 სასაქონლო მატერიალური მარაგები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
გასაყიდად არსებული მარაგები	5,252,892	4,118,888
სხვა მარაგები	176,755	184,347
	<u>5,429,647</u>	<u>4,303,235</u>

კომპანიის საქონლის შესყიდვის მოკლე საკრედიტო პერიოდიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც ხდება წინა კოლექციის ამოყიდვა ჩამოფასებული ღირებულებით, კომპანიას არ აქვს მოძველებული ან ნეტო სარეალიზაციო ღირებულებაზე მეტად შეფასებული მარაგი.

კომპანიის მარაგები არ არის დატვირთული კომპანიის ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

14 სესხები

ქართული ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	-	867,883	-	-
	<u>-</u>	<u>867,883</u>	<u>-</u>	<u>-</u>

2019 წელს კომპანიამ სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიიღო სესხები საერთო ოდენობით 1,000,000 აშშ დოლარი, 3 წლის ვადით. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით წლიური 7.5%.

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ სრულად დაფარა საბანკო სესხები, შესაბამისად საბოლოო ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით შეადგენს ნულს.

მოცემული სესხები უზრუნველყოფილი იყო შპს ლიდერ სისტემ-ის თავდებობით (და კომპანია).

2022 და 2021 წლებში სესხებს დაერიცხათ 28,851 და 138,053 ლარის საპროცენტო ხარჯი, წლების შესაბამისად.

სესხების რეკონსილაცია 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ქართული ლარი	მოკლევადიანი სესხი	სულ
2021 წლის 1 იანვარი	2,127,519	2,127,519
ფულადი ნაკადების მოძრაობა		
აღება	-	-
დაფარვა	(1,189,417)	(1,189,417)
საპროცენტო გადახდები	(138,053)	(138,053)
არაფულადი ცვლილებები:		
დარიცხული პროცენტი	138,053	138,053
(მოგება)/ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან	(70,219)	(70,219)
2021 წლის 31 დეკემბერი	867,883	867,883
ფულადი ნაკადების მოძრაობა		
აღება	-	-
დაფარვა	(831,482)	(831,482)
საპროცენტო გადახდები	(28,851)	(28,851)
არაფულადი ცვლილებები		
დარიცხული პროცენტი	28,851	28,851
(მოგება)/ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან	(36,401)	(36,401)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-

15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
სავაჭრო ვალდებულებები	733,093	983,645
საიჯარო ვალდებულებები	271,685	187,240
გადასახდელი ბონუსები	58,352	48,985
მიღებული ავანსები	303	47,945
გადასახდელი ხელფასები	205,681	8,465
	1,269,114	1,276,280

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება.

16 გადასახდელი დივიდენდი

2022 წლის განმავლობაში მშობელ კომპანიაზე გადასახდელად გამოცხადდა 6,100,000 ლარის ოდენობის დივიდენდი. მაგრამ ფაქტობრივად მშობელ კომპანიაზე გადახდილი დივიდენდი შეადგენს 4,285,000 ლარს. შესაბამისად 1,815,000 გადასახდელი დივიდენდი ჩართულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც ვალდებულება.

17 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული გადასახდელები

კომპანიას საოპერაციო იჯარით აქვს აღებული კომერციული მაღაზიები. იჯარის ვადა საშუალოდ შეადგენს 10-15 წელს, რომელზე გადაიხდება ფიქსირებული და ცვლადი გადახდები, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვების მოცულობასთან იმავე პერიოდში.

ქართული ლარი	2022 წელი	2021 წელი
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	4,593,896	4,255,934

წლის ბოლოსთვის საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული არაგაუქმებადი გადასახდელი ვალდებულებები შემდეგია:

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ერთი წლის განმავლობაში	3,766,315	5,102,975
2-დან ხუთ წლამდე	9,559,780	12,799,979
5 წელზე მეტი	3,894,748	7,012,849
	<u>17,220,843</u>	<u>24,915,803</u>

18 კაპიტალი

18.1 საწესდებო კაპიტალი

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა ნულ ლარს, შესაბამისად კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისგან.

18.2 დივიდენდი

2022 წლის განმავლობაში შმოხელ კომპანიაზე გადასახდელად დივიდენდი გამოცხადდა 6,100,000 ლარის ოდენობით, მაგრამ შმოხელ კომპანიაზე გადახდილი დივიდენდი შეადგენს 4,285,00 ლარს. 2021 წელს დივიდენდი არ არის გადახდილი შმოხელ კომპანიაზე.

19 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	131,953	201,072
ფული საბანკო ანგარიშებზე	4,357,653	2,954,031
საბანკო გარანტია	-	2,000
	<u>4,489,606</u>	<u>3,157,103</u>

ფული საბანკო ანგარიშებზე განთავსებულია ბანკებში, რომელთა რეიტინგი S&P- ს რეიტინგის მიხედვით არის BB-.

20 გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

20.1 ვალდებულებები

კომპანიას არ გააჩნია არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

20.2 სამართალწარმოება

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში. ხელმძღვანელობა სასამართლო დავებთან დაკავშირებით არსებით აღურიცხავ ზარალს არ მოელის და, შესაბამისად, მას წინამდებარე ანგარიშგებაში ანარიცხები არ გაუთვალისწინებია.

20.3 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს სრული დაფარვა მისი ქარხნის ობიექტების, საქმიანობის შეფერხების ან მესამე მხარის პასუხისმგებლობის შესახებ საკუთრების ან გარემოსდაცვითი ზიანის გამო, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ქონებაზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად ან დაკავშირებულია კომპანიის ოპერაციებთან. სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვა ან განადგურება ან გარემოს ზიანს აყენებს არსებითად უარყოფით გავლენას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

20.4 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

20.5 გარემოს დაცვა

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები. თუმცა საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელმაც შესაძლოა მომავალში წარმოშვას მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

21 შემდგომი მოვლენები

2023 წლის იანვარსა და მაისში მშობელ კომპანიაზე გამოცხადდა დივიდენდი 20,000 და 2,000,000 ლარის ოდენობით შესაბამისად. 2023 წელს ასევე დაიფარა მშობელ კომპანიაზე 2022 წლის გადასახდელი დივიდენდის ნაწილი 390,000 ლარის ოდენობით.

22 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის ხელმძღვანელობა.

22.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს შპს პან ეუროპიან ფემენ გრუფი, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 100%-ს.

22.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ტრანზაქციები ქართული ლარი	2022 წელი	2021 წელი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
ფინანსური შემოსავალი	222,711	110,148
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	35,214	-
მიღებული მომსახურება ადმინისტრაციული ხარჯის სახით	62,852	-
 ნაშთები ქართული ლარი	 2022 წლის 31 დეკემბერი	 2021 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
გაცემული სესხები	2,839,309	3,366,722
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,332	1,909
მისაღები პროცენტები გაცემულ სესხებზე	658,241	731,184

22.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები:

ქართული ლარი	2022 წელი	2021 წელი
ხელფასები და ბონუსები	272,935	197,641

23 შესადარისი ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოავლინა შეცდომები წინა პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, კერძოდ:

- არასწორად ჩამოწერილი მარაგები თვითღირებულებიდან,
- მარკეტინგული ხარჯები, რომელიც ჩართული იყო ადმინისტრაციულ ხარჯებში და არ იყო ცალკე წარდგენილი; და
- შპს ლიდერ სისტემაზე გაცემული სესხი არაწორად იყო აღრიცხული როგორც სავაჭრო ვალდებულების ნაშთის შემცირება.

შესადარისი ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი (აღრე წარდგენილი)	გადაანგარიშება	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
სასაქონლო მატერიალური მარაგები	1,374,690	2,928,545	4,303,235
გაცემული სესხები	3,212,332	154,390	3,366,722
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,121,890	154,390	1,276,280

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი (ადრე წარდგენილი)	გადაანგარიშება	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(14,969,439)	2,928,545	(12,040,894)
ადმინისტრაციული ხარჯები	(9,712,603)	908,655	(8,803,948)
მარკეტინგის ხარჯები	-	(908,655)	(908,655)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი (ადრე წარდგენილი)	გადაანგარიშება	2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
2021 წლის მოგება	3,166,350	2,928,545	6,094,895
აკუმულირებული მოგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,422,347	2,928,545	13,350,892

24 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ და გამოსაცემად უფლებამოსილია 2023 წლის 20 დეკემბერს.

ISOLA - G LLC

Digomi Training Experimental Farm Area, Tbilisi 0131, Georgia
tel. (+995 32) 2 192 005, fax. (+995 32) 2 192 006

მმართველობის ანგარიშგება

შპს „ISOLA-G“

2022 წელი

შინაარსი

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა.....	2
2. კომპანიის ფილიალები.....	2
3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ.....	2
4. კომპანიის მართვა და სტრუქტურული ერთეულები	4
5. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები	4
6. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა	5

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა

შპს „ISOLA G“ დაფუძნებულია 2012 წელს. კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. კომპანიის საქმიანობის ორგანიზაციისათვის პარტნიორთა კრების მიერ იქმნება ღირებულება, რომელსაც სათავეში უდგას ღირებულებითი და რომელიც მინდობილობის გარეშე წარმოადგენს კომპანიის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე. ის ორგანიზებას უწევს კრების გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ISOLA G“-ის 100% წილის მფლობელია შპს „პან ეურიფიან ფემენ გრუფი“.

შპს „ISOAL-G“-ის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და აქსესუარებით საცალო ვაჭრობა. ობიექტებში წარმოდგენილი პროდუქციის წარმოება ხდება ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყანაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებს 5 სავაჭრო ობიექტი, რომლის ფართობიც იჯარით არის აღებული.

კომპანიას გააჩნია მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, როგორც ახალი ბრენდების შემოყვანის, ისე არსებულების განვითარების კუთხით. ამასთან მუდმივად ხდება ბაზრის მონიტორინგი სხვადასხვა მეთოდებით, როგორიცაა დაკვირვება, გამოკითხვა, სტატისტიკა, ბაზრის კვლევა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების ანგარიშგებები.

2. კომპანიის ფილიალები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 5 ფილიალს, რომელთაგან სამი ფილიალი დაფუძნდა 2019 წლამდე პერიოდში, ხოლო საბურთალოს სითი მოლში და ბათუმის მეტრო სითიში გაიხსნა ფილიალები 2020 და 2019 წლებში.

კომპანიას არ გააჩნია ონლაინ მაღაზია.

კომპანია მუდმივად ცდილობს ქვეყნის მასშტაბით წარმოადგინოს მრავალფეროვანი პროდუქცია და საქმიანობის სფეროს ფარგლებში გააფართოოს მომხმარებლების რაოდენობა.

3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ასეთია:

	2022	2021 (გადაანგარიშებული)	ცვლილება
ამონაგები	36,175,407	28,445,199	7,730,208
საერთო მოგება	22,777,680	16,404,305	6,373,375
საოპერაციო მოგება	6,553,487	6,691,702	-138,215
წლის წმინდა შემოსავალი	5,865,481	6,094,895	-229,414

3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ (გაგრძელება)

	2022	2021 (გადაანგარიშებული)
ამონაგები	36,175,407	28,445,199
რეალიზაციის თვითღირებულება	(13,397,727)	(12,040,894)
საერთო მოგება	22,777,680	16,404,305
ადმინისტრაციული ხარჯები	(14,995,290)	(8,803,949)
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	(905,844)	(908,655)
საგადასახადო აქტივის ჩამოწერა	(323,061)	-
საოპერაციო მოგება	6,553,487	6,691,702
ფინანსური შემოსავალი	222,711	307,031
ფინანსური ხარჯი	(28,851)	(138,053)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(1,270,893)	(782,817)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	414,835	17,032
მოგება დაბეგვრამდე	5,891,288	6,094,895
მოგების გადასახადი	(25,807)	-
წლის წმინდა მოგება	5,865,481	6,094,895
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი	5,865,481	6,094,895

	2022	2021 (გადაანგარიშებული)	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	63%	58%	5%
საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/ამონაგები)	18%	24%	-5%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	16%	21%	-5%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო აქტივები)	37%	47%	-10%
კაპიტალზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო კაპიტალი)	44%	59%	-15%

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა:

ფინანსური კოეფიციენტები	2022	2021 (გადაანგარიშებული)
სულ მიმდინარე აქტივები	14,082,295	12,436,510
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,084,114	2,144,163
სულ კაპიტალი	13,116,373	13,350,892

3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

	2022	2021	ცვლილება
დასაქმებულთა რაოდენობა	119	125	-6
მაღაზიების რაოდენობა	5	5	+0

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

4. კომპანიის მართვა და სტრუქტურული ერთეულები

კომპანია „ISOLA-G“ სტრუქტურა წარმოადგენს თანამშრომელთა დაქვემდებარების სქემას. სქემაზე თითოეული თანამშრომლისათვის განსაზღვრულია უშუალო ხელმძღვანელის, მაკონტროლებელი პირისა და დაქვემდებარებული პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პოზიცია.

- მარკეტინგის დირექტორს პირდაპირ ექვემდებარება მარკეტინგის განყოფილება.
- მაღაზიათა ქსელის ადმინისტრირების განყოფილების უფროსს პირდაპირ ექვემდებარება თანამშემწე და ქსელში არსებული ყველა მაღაზიის მენეჯერი.
- მერჩენდაიზინგის დირექტორს პირდაპირ ექვემდებარება მერჩენდაიზინგისა და გაყიდვების სამსახურები, ასევე ვიზუალური მერჩენდაიზინგების გუნდი.
- მონიტორინგის განყოფილების უფროსს პირდაპირ ექვემდებარება მონიტორინგის სპეციალისტი.
- ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება მოიცავს რამდენიმე სამსახურს: ლოჯისტიკის სამსახური, ტექნიკური სამსახური, , საწყობი, ასევე განყოფილებაში მოიაზრებიან ოფისის მენეჯერები და ოფისის დიასახლისი.

5. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები

2023 წლიდან კომპანია ემზადება ახალი ფილიალის გასახსნელად და აქტიურად დგამს ნაბიჯებს წინსვლისთვის და განვითარებისთვის.

- გამუდმებით მიმდინარეობს მარაგების სიღრმისეული ანალიზი.
- შემუშავდა ახალი მარაგების მართვის კოეფიციენტები, რის მიხედვითაც უფრო სწრაფად და ეფექტურად ხდება შეკვეთების გაკეთება და მომავლის პროგნოზირება.
- გაძლიერდა გაყიდვების ჯგუფი. მუშავდება ახალი ანალიტიკური რეპორტები, რომელსაც ცოცხალ რეჟიმში უყურებენ და სწრაფად ახდენენ რეაგირებას.
- გაუმჯობესდა თანამშრომლობის პირობები პარტნიორებთან.

5. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები (გაგრძელება)

კომპანიის მთავარ აქტივს მისი თანამშრომლები წარმოადგენენ. 2022 წლის მანძილზე განახლდა და გაუმჯობესდა სახელფასო სისტემა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტები, რაც მიზნად ისახავს თანამშრომლების მოტივირებას, მათთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფასა და თითოეულ დასაქმებულში სტაბილურობის შეგრძნების გაზრდას. აღნიშნული ცვლილებები დადებითად აისახება თანამშრომლების კეთილდღეობაზე და ეფექტურად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე. შეიქმნა საბონუსო სისტემა, რომლის მიხედვითაც ხდება თითოეულ თანამშრომელზე ხელფასის გაცემა.

6. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა

კომპანიის მენეჯმენტი იღებს სრულ პასუხისმგებლობას რისკების განსაზღვრა/მართვაზე. ამისთვის მუდმივად ხდება მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი, მონიტორინგი, მნიშვნელობის განსაზღვრა და შესაბამისი პრევენციული მექანიზმების შემუშავება.

- განვითარებადი ბაზრის რისკები, როგორიცაა ხშირად ცვალებადი საგადასახადო, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები. რომელიც მოითხოვს ბიზნეს პროცესების ხშირ გადაწყობას, დამატებით ხარჯებს თუ რიგ შემთხვევებში დანაშოგებს. ამ რისკების სამართავად კომპანია იყენებს, როგორც შიდა დაქირავებულ რესურსს, ისე დაქირავებული ჰყავს გარე კონსულტანტები და მათთან ერთად ხდება მოსალოდნელი რისკების შეფასება და გათვალისწინება.
- ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა - რადგან კომპანიის ხარჯების მნიშვნელოვან წილს შეადგენს გადასახდელი ვალდებულებების უმეტესობა და ისინი დენომინირებულია აშშ დოლარში ან ევროში, ხოლო კომპანიის შემოსავლები ლარში. ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, ძალიან მნიშვნელოვანი რისკია და პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ამ კუთხით მენეჯმენტი გეგმების მიხედვით აანალიზებს და იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს თუ არა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, როგორიცაა მაგალითად ვალუტის დაზღვევა.

საოპერაციო რისკები

სისტემატიურად მოწმდება კომპანიაში შესაძლო გადაცდომები, შექმნილია მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ახდენს გადაცდომების პრევენციას, ატარებს ინვენტარიზაციებს როგორც სასაქონლო მარაგების, ასევე სხვა ძირითადი საშუალებების, რომელიც ძირითადი აქტივია კომპანიის.

6. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების წინაშე საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, რადგან იგი წარმოადგენს საცალო სავაჭრო კომპანიას.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესაღარი პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 20 დეკემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

ნინო ხუთელიძე

6. ხუთელიძე